თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 24 სექტემბრის სხდომის

ოქმი № 9

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 24 სექტემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 23 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ზვიად სიგუას განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საკითხის განხილვა

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი დ. მახვილაძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 24 სექტემბრის №9 სხდომის დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ზვიად სიგუას განცხადება სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საკითხის განხილვა

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი დ. მახვილაძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ე. ხარაიშვილიმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილით (№12956/10, 31.08.2020) მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის, ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის კურსდამთავრებულ ქეთევან გოგიტიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოენბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან.

წარმოდგენილი საარქივო მასალებიდან დადგინდა, რომ ქეთევან გოგიტიძე 2004 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობაზე (ბრძანება №4/968, 27.08.2004).

2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის დასრულების მიზნით ქეთევან გოგიტიძეს თვითდაფინანსებით მიეცა სწავლის გაგარძელებისა და IX სემეტსრში დარეგისტრირების უფლება - 5 კრედიტი (ბრძანება №1631/01-04, 20.10.2008).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 2 ივლისის №1136/01-04 ბრძანების საფუძველზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის სხდომის 2009 წლის 19 თებერვლის №1 გადაწყვეტილებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის კურსდამთავრებულ ქეთევან გოგიტიძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით *(საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელის წარდგინება №11304/02, 16.06.2009)*.

2009-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B N002172 სარეგისტრაციო N01/400643 რეგისტრირებულია ქეთევან გოგიტიძის სახელზე.

ვინაიდან, ქეთევან გოგიტიძისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულ ქეთევან გოგიტიძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის სხდომის ოქმში (№1) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთავრებულთათვის (დანართში დაფიქსირებულია 102 კურსდამთავრებული).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ქეთევან გოგიტიძეს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრია აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

2. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, ბაკალავრის აკადემიური ხარიხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის სხდომის ოქმის (№1) დანართში (დანართი *(ბიზნესის ადმინისტრირება)*) დაფიქსირებულ ყველა კურსდამთავრებულზე (102 კურსდამთვრებული) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ მათე შვანგირაძის სადისერტაციო თემა:

„საქართველო-დსთ-ს ქვეყნების ვაჭრობის თანამედროვე ტენდეციები“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ მათე შვანგირაძის სადისერტაციო თემა:

„საქართველო-დსთ-ს ქვეყნების ვაჭრობის თანამედროვე ტენდეციები“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ვასო ოჩიგავას სადისერტაციო თემა: „სახელმწიფო ვალის ტენდენციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (შედარებითი ანალიზი)“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ვასო ოჩიგავას სადისერტაციო თემა:

„სახელმწიფო ვალის ტენდენციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (შედარებითი ანალიზი)“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად

წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ გრიგოლ კაპანაძის სადისერტაციო თემა - ,,ელექტრო ენერგეტიკული ბაზარი და ელექტროენერგიის ეფექტიანი გამოყენების გზები“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა,

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ გრიგოლ კაპანაძის სადისერტაციო თემა :

,,ელექტრო ენერგეტიკული ბაზარი და ელექტროენერგიის ეფექტიანი გამოყენების გზები“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

მოისმინეს: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ზვიად სიგუას სწავლების საფასურის შეღავათის შესახებ (საფუძველი - განცხადება, რომლითაც ის ითხოვს სწავლის საფასურის შეღავათს).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს (ოქმი 9, 24. 09 .2020წ) გადაწყვეტილებით, ზვიად სიგუას, როგორც ფაკულტეტის პერსონალ-დოქტორანტს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%-ით, 1125 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საკითხის განხილვა

/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი დ. მახვილაძე/

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტმა დ. მახვილაძემ მოახსენა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მიმდინარე წლის 14 სექტეებერს, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე ლექციებზე დაფიქსირებულ აღმაშფოთებელ ფაქტებთან დაკავშირებულ გარემოებებზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ:

ადგილი ჰქონდა ლექტორის და აუდიტორიის მიმართ გამოხატულ არაერთგზის შეურაცხყოფას და ლექციის ამ გზით ჩაშლის მცდელობას. აღნიშნულის თაობაზე, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, წერილობით ეცნობა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს. ამავე დღეს, ფაკულტეტის დეკანის მიერ გაიგზავნა წერილი (№14538/29; 15/09/2020) თსუ ადმინისტრაციის უფროსთან, რომელშიც მოცემულ ფაქტობრივ გარემოებასთან ერთად, დაფიქსირებული იყო მოთხოვნა: შესაძლებლობების ფარგლებში მომხდარიყო შესაბამისი აიპი მისამართის უკან მდგომი პიროვნების დადგენა. თუ აღნიშნული პირი აღმოჩნდებოდა თსუ სტუდენტი, მის მიმართ უნდა გატარებულიყო ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებები, ხოლო თუ პირი არ აღმოჩნდებოდა თსუ სტუდენტი მაშინ უნდა განხორციელებულიყო საგამოძიებო ორგანოებს შესაბამისი რეაგირების მოხდენის მოთხოვნა.

დეკანის წერილის გაგზავნის დღესვე, თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის წერილით (№14590/10; 15/09/2020), ფაკულტეტმა მიიღო ინფორმაცია, რომლის თანახმად: „საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ გადამოწმებული იქნა IP 176.221.184.102 მისამართი სასწავლო პროცესის მართვის ელექტორნულ სისტემაში LMS.TSU.GE, სადაც ფიქსირდება და ხდება ლოგირება

სტუდენტების მიერ აკადემიური რეგისტრაციისას საგნის არჩევის დროს რა IP მისმართიდან ხდება მომართვიანობა ჩვენს სისტემაზე. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ IP 176.221.184.102 მისამართიდან საგნების არჩევა განახორციელა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ლუკა ბიჭაშვილმა (01008059047).“

დავით მახვილაძემ, დამატებით აცნობა საბჭოს წევრებს, რომ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, LMS-ისა და ელ. ფოსტის საშუალებით, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, გაეგზავნა წერილობითი მოწოდება ლუკა ბიჭაშვილს, რომ შესაძლო უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 21 სექტემბრის 18:00 საათისა, წარმოედგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. გარდა ამისა, წერილის გაგზავნისთანავე, დავით მახვილაძე, ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა ლუკა ბიჭაშვილს და მიაწოდა ინფორმაცია წერილობითი გზავნილის თაობაზე, ასევე ურჩია ყურადღებით მოკიდებოდა ამ საკითხს.

ლუკა ბიჭაშვილს, ფაკულტეტის გზავნილის საპასუხოდ, ახსნა-განმარტება ან რაიმე ფორმის დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

დავით მახვილაძემ ასევე განმარტა საბჭოს სხდომაზე საკითხის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები და აღნიშნა, რომ: სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს იმ ფაკულტეტის საბჭო, რომელზედაც ირიცხება სტუდენტი. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს: „წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ; დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით; მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში; მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე. ასევე განიმარტა, რომ დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და რომ, სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ, პროფესორმა: ლევან საბაურმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინე მინდორაშვილმა, მათ დაგმეს მომხდარი ფაქტები, ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია, ლუკა ბიჭაშვილთან ერთად ამ აღმაშფოთებელი მოქმედებების ავტორი ყველა სხვა პირის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, დაგმო მომხდარი ფაქტი და აღნიშნა, რომ პირადად გააკეთებდა ყველაფერს, რომ მსგავი ფაქტების განმეორებას ადგილი არ ჰქონოდა მომავალში.

ფაკულტეტის სხდომის მიმდინარეობისას, ზეპირი განმარტების გაკეთება ეთხოვა სტუდენტ ლუკა ბიჭაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ „მას შეურაცხყოფა არავისთვის არ მიუყენებია“. თუმცაღა პროფესორ ლევან საბაურის მიერ არაერთხელ დასმულ კითხვაზე, ბილწსიტყვაობდა თუ არა ის ლექციის მსვლელობისას, სტუდენტი პირდაპირი პასუხის გაცემისგან თავს იკავებდა და იმეორებდა, რომ „მას შეურაცხყოფა არავისთვის არ მიუყენებია“. ასევე, დადასტურდა, რომ ოფიციალური სასწავლო განრიგის - ცხრილის მიხედვით, ლუკა ბიჭაშვილი არ წარმოადგენდა აღნიშნული ლექციის მონაწილე სტუდენტს. ამასთან დაკავშირებით, სტუდენტმა განმარტა, რომ ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ლექტორების მიერ სწავლებისათვის გამოყენებული ZOOM პლათფორმის ყველა ID და კოდური სიტყვა, შესაბამისად ინფორმაცია არის საჯარო და მან პირადი ინტერესით შეარჩია აღნიშნული ლექცია. შესაბამისი კითხვით, სტუდენტმა ასევე დაადასტურა, რომ ლექციის მსვლელობისას, მის კომპიუტერთან იმყოფებოდა მხოლოდ ის, მარტო. ასევე, სტუდენტმა უარყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მისი zoom პლათფორმისთვის განკუთვნილი „მომხმარებლის სახელი“ იყო არაკორექტული. თუმცა, ამ უარყოფის შემდეგ, დეკანმა, საბჭოს ყველა მონაწილის დასანახად გააზიარა მტკიცებულება ამ სტუდენტის აიპი მისამართის პარალელურად დაფიქსირებული არაკორექტული მომხმარებლის დასახელება. აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტს კომენტარი აღარ გაუკეთებია.

სტუდენტს არაერთხელ შეეთავაზა, რომ გაეკეთებინა დამატებითი განმარტება საკითხთან დაკავშირებით. ლუკა ბიჭაშვილის მიერ დამატებითი განმარტებები არ გაკეთებულა.

აზრი ასევე გამოთქვა სტუდენტთან მიმართებაში კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა და აღნიშნა რომ მომხდარი ფაქტი არის ყოვლად მიუღებელი და უნივერსიტეტის მხრიდან იმსახურებს უმკაცრეს შეფასება, შესაბამისად, გასცა რეკომენდაცია, მომხდარიყო „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის ლუკა ბიჭაშვილისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის“ თაობაზე საკითხის გატანა საბჭოზე კენჭისყრისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის ლუკა ბიჭაშვილის (01008059047) მიმართ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები, მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

დაადგინეს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, ,,შინაგანაწესისა დადისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ საფუძველზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს ლუკა ბიჭაშვილს (01008059047) შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი **გ. ღაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **მ. მაისურაძე**